

განმარტებითი ბარათი

„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის
4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის დადგენილების პროექტზე შპს „საქართველოს საერთაშორისო
ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ (თბილსრესის №3, 4 ბლოკები)
გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის
წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2017 წლის 19 დეკემბრის №39
დადგენილებით შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილება „ელექტროენერჯის
ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში და
შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“
(თბილსრესის №3 და №4 ბლოკები) განისაზღვრა შემდეგი სატარიფო განაკვეთები:

- გარანტირებული სიმძლავრის საფასური დღეზე – **38 994** ლარი;
 - №3 ბლოკისთვის – 18 637 ლარი/დღე;
(მოქმედების ვადა 01.01.2018 – 31.12.2018)
ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა – **300** დღე
 - №4 ბლოკისთვის – 20 357 ლარი/დღე;
(მოქმედების ვადა 01.01.2018 – 31.12.2018)
ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა – **300** დღე
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების
ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი – **11.511** თეთრი/კვტსთ.
(მოქმედების ვადა 01.01.2018 – 31.12.2018)

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

ვინაიდან შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ (შემდგომში - საწარმო) გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფები დადგენილი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების პერიოდზე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 21-ე და 22-ე მუხლების საფუძველზე, გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფების დადგენის მოთხოვნით, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ 2018 წლის 4 ივლისის №350/1 წერილით კომისიაში წარმოდგენილი იქნა კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით შევსებული სატარიფო განაცხადი.

სატარიფო განაცხადი სრულყოფილებისა და კანონშესაბამისობის შესახებ სამართლებრივი შეფასებისთვის გადაგზავნილი იქნა კომისიის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტში, ხოლო სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ტექნიკური სახის ინფორმაციის შესაფასებლად შესაბამისი დასკვნისთვის – ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტში.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტმა განიხილა შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ სატარიფო განაცხადი წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთობლიობაში. ამასთან, 2018 წლის 6 ივლისს ელექტროენერგეტიკის (სამსახურებრივი ბარათი №1924) და იურიდიულმა დეპარტამენტებმა (სამსახურებრივი ბარათი №1939) უზრუნველყვეს შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა, სადაც ერთ შემთხვევაში აღნიშნული იყო, რომ სატარიფო განაცხადის ტექნიკური ნაწილი

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

დამაკმაყოფილებელია და საკმარისია ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად, ხოლო მეორე შემთხვევაში – იურიდიული დეპარტამენტს სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით სამართლებრივი სახის შენიშვნები არ გააჩნია.

იურიდიული და ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტების ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით მიჩნეულ იქნა, რომ საწარმოს სატარიფო განაცხადი სრულყოფილია და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2018 წლის 17 ივლისის №56/4 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერჯის ტარიფების“ შესახებ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, დადგენილების გამოსაცემად. გადაწყვეტილების თანახმად დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი, ხოლო მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად – 2018 წლის 1 ოქტომბრის 18:00 საათი.

ასევე, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ სატარიფო განაცხადის შესწავლისა და ანალიზის ფარგლებში კომისიის აპარატის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის:

- აუდიტის ანგარიში საწარმოს საბაზისო წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ოფიციალურად დამოწმებული მოქმედი საშტატო განრიგი;
- სასაქონლო ზედნადებებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (RS) რეესტრები;
- მოქმედი ხელშეკრულებები სხვადასხვა საქონლის მომსახურებისა და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე;

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

- გრძელვადიანი ძირითადი მატერიალური და არამატერიალური აქტივების რეესტრი (რეგულირებადი აქტივების ბაზა);
- საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციები მოგების, ქონების, დღგ-ის და საშემოსავლო გადასახადებსა და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლზე.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) დასრულდა მუშაობა შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფის დადგენის მოთხოვნით წარმოდგენილ სატარიფო განაცხადზე და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის წარმოდგენილია შესაბამისი დადგენილების პროექტი წინამდებარე განმარტებებით.

ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდს, სიმძლავრის თითოეული წყაროს მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. მიმდინარე მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებით განსაზღვრულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, მათ შორის, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ (გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 და №4 ენერგობლოკები), ამ წყაროების მიერ უზრუნველყოფილი მინიმალური გარანტირებული სიმძლავრეები და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდები, კერძოდ, აღნიშნული თბოელექტროსადგურის №3 და №4 ბლოკებისთვის გარანტირებული სიმძლავრე განსაზღვრულია - 100-100 მგვტ-ის ოდენობით, ხოლო უზრუნველყოფის პერიოდი - 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე.

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

საფუძველი

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებულია „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დადგენილების დანართი №3) და ასევე „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“ (დადგენილების დანართი №4) (შემდგომში – დადგენილი ცვეთის ნორმები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის (ზედა ზღვარი) გაანგარიშება განხორციელდა ზემოთ ხსენებული მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პრინციპების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურ ფუნქციონირებას, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებას და სამართლიანი მოგების მიღებას. ამ მეთოდოლოგიით ტარიფების გაანგარიშება ხდება „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპის შესაბამისად.

ასევე, სატარიფო მიზნებისათვის კომისიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიებისგან წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაციები:

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) 2018 წლის 22 ნოემბრის №6643/17 წერილი – ინფორმაცია 2017 და 2018 წლებში ჩატარებული და 2019 წელს ჩასატარებელი ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი 27 დეკემბერი, 2018 წელი

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

გეგმური რემონტების დღეების რაოდენობის შესახებ, რომელთა განმავლობაშიც საწარმოს არ ჰქონდა/ვერ ექნება უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრე.

➤ *სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“* (ბაზრის ოპერატორი) 2018 წლის 16 ოქტომბრის №01/1276 და 2018 წლის 12 დეკემბრის №01/1401 წერილები – ინფორმაცია საწარმოს მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობების, უზრუნველყოფილ გარანტირებულ სიმძლავრეზე დარიცხული და გადახდილი თანხების, გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდისა და ესკოს მომსახურების საფასურის შესახებ (2017 – 2018 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით).

➤ *სს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“* 2018 წლის 17 ოქტომბრის №1/08-1-2176 და 2018 წლის 12 დეკემბრის №1/08-1-2521 წერილები – ინფორმაცია საწარმოს საკუთრებაში არსებული თბოელექტროსადგურის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის შესახებ (მათ შორის, ელექტროენერჯის წარმოებისა და კომერციული მოხმარების მიზნების მიხედვით) 2017 წლიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით.

ტარიფის დადგენის პერიოდი

სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად, კონკრეტული საწარმოსთვის ინდივიდუალურად და მოქმედებს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ახალი სატარიფო განაკვეთების დადგენა უნდა განხორციელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების პერიოდზე.

რეგულირებადი აქტივების ბაზა და კაპიტალური დანახარჯები

ალოკაცია

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ სატარიფო განაცხადის ფარგლებში სრულყოფილი ანალიზისათვის წარმოდგენილი იქნა მის საკუთრებაში არსებული აქტივების ბაზა, რომელიც მოიცავდა როგორც რეგულირებად (გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-3 და მე-4 ენერგობლოკების), ასევე სხვა არარეგულირებად საქმიანობებში გამოყენებულ აქტივებს. ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა ალოკაცია შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ სხვადასხვა საქმიანობებს შორის, აღნიშნულ საქმიანობებზე პირდაპირ მიკუთვნებული აქტივების 2017 წლის ნარჩენი ღირებულების პროპორციულად. აღნიშნული ალოკაციის მიხედვით, საწარმოს ელექტროენერჯის წარმოების რეგულირებადი საქმიანობის წილმა სხვა საქმიანობებთან მიმართებაში შეადგინა 21.10%.

	2017 წლის წმინდა საბალანსო ღირებულება
თბოელექტროსადგური	15,124,291
სხვა საქმიანობა	56,564,484
ალოკაცია	21.10%

აღნიშნული პროპორციით განხორციელდა საერთო მოხმარების აქტივებისა (მათ შორის, ადმინისტრაციის, სარემონტო დეპარტამენტისა და ცენტრალური ლაბორატორიის აქტივების) და საერთო საოპერაციო დანახარჯების გადანაწილება საწარმოს ელექტროენერჯის წარმოების რეგულირებად საქმიანობაზე.

საწარმოს მიერ წარმოდგენილი რეგულირებადი აქტივების ბაზის მიხედვით 2017 წელს განხორციელებული ინვესტიცია შეადგენდა 316,088 ლარს (გარდა არარეგულირებად საქმიანობებზე განხორციელებული ინვესტიციისა). მათ შორის, 103,228 ლარის ინვესტიცია პირდაპირ მიეკუთვნა რეგულირებად

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

საქმიანობას, ხოლო 212,860 ლარის ინვესტიცია განხორციელდა საერთო აქტივებში, რომლებიც გადანაწილებული იქნა რეგულირებად საქმიანობაზე ზემოაღნიშნული ალოკაციით (21.10%).

გარდა ამისა, 2017 წლის კაპიტალდაბანდებებს დაემატა 25,356 ლარის დანახარჯი, რომელიც საწარმოს მიერ წარმოდგენილი იქნა როგორც საოპერაციო ხარჯი, თუმცა მათი ანალიზის შედეგად აღიარებული იქნა კაპიტალურ დანახარჯად (ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დასკვნის შესაბამისად).

სატარიფო მეთოდოლოგიის თანახმად, 2019 წლის ტარიფში შესაძლებელია ასახულ იქნეს ასევე ტარიფის გაანგარიშების (2018) წლის ინვესტიციები, რომლებიც უკვე დასრულებულია ტარიფის გაანგარიშებისას. შესაბამისად, კომისიის მოთხოვნით, საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 2018 წლის პირველი რვა თვის (აგვისტოს ჩათვლით) ინვესტიციები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 565,773 ლარი. აქედან, 12,568 ლარის ღირებულების აქტივი (საგენერატორო დელისზე) არ იქნა მიჩნეული რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივად, ხოლო 1,500 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთების შესყიდვა, რომლებიც საწარმომ შეიძინა იმისთვის, რომ მოეხდინა თავის ტერიტორიაზე გამავალი განაწილების ქსელის ელექტროგადამცემი ხაზის გადაადგილება, არ იქნა მიჩნეული რეგულირებადი მიზნებისთვის კაპიტალურ დანახარჯად. რაც შეეხება დარჩენილი 551,705 ლარის ინვესტიციას, მისი ალოკაცია მოხდა შემდეგნაირად:

	ალოკაცია	ინვესტიცია	2019 წლის წლიური ცვეთა
თბოელექტროსადგური		346,856	35,028
საერთო აქტივები	21.10%	204,849	39,378
ჯამი		551,705	74,405
სულ ალოკაციით		390,079	43,336

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

შედეგად, სატარიფო 2019 წლის რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულებამ შეადგინა 14,362,853 ლარი (წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის დასაწყისისთვის). შესაბამისად, 2019 წლისათვის განსაზღვრული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების, 16.40%-ის გათვალისწინებით, ამონაგები აქტივებზე 2019 წლისათვის უნდა შეადგენდეს 2,355,508 ლარს. რაც შეეხება 2019 წლის წლიურ ცვეთას, აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,445,286 ლარის ოდენობით. სულ, 2019 წლის კაპიტალური დანახარჯები შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ უნდა შეადგენდეს 3,800,794 ლარს.

2018 წლის კაპიტალური დანახარჯების კორექტირება

2018 წლის სატარიფო გაანგარიშებაში კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა შემდეგი საპროგნოზო მონაცემები: რეგულირებადი აქტივების ღირებულება - 15,281,440 ლარი და წლიური ცვეთა - 1,397,096 ლარი. აღნიშნულის ფაქტობრივ მონაცემებთან შედარებით მივიღეთ შემდეგი სურათი:

	RAB 2018	2018 წლის წლიური ცვეთა
ფაქტობრივი წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის დასაწყისისთვის	15,365,229	1,400,402
2018 წლისთვის დადგენილი სხვაობა	15,281,440	1,397,096
	83,790	3,306

განსხვავება გამოიწვია 2017 წლის ინვესტიციების დაზუსტებულმა მონაცემებმა, რომელიც გასული სატარიფო გაანგარიშებისას არასრული სახით იყო წარმოდგენილი, როგორც მიმდინარე წლის ინვესტიცია. კაპიტალური დანახარჯების დასაკორექტირებელმა თანხამ შეადგინა 17,047 ლარი, რაც დროში ფულის ღირებულებით (ერთწლიანი ჩამორჩენით) შეადგენს 19,251 ლარს.

საოპერაციო დანახარჯები

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ (თბილსრესის №3 და №4 ბლოკები) ფაქტობრივი დანახარჯების გონივრული და მიზანშეწონილი დანახარჯების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად აუდიტი ჩატარდა საწარმოს 2017 სატესტო წლის დანახარჯებს. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ (თბილსრესის №3 და №4 ბლოკები) მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების შედეგად ცვლილებები განიცადა გარკვეულმა საოპერაციო დანახარჯებმა, რის შედეგადაც ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები კორექტირებების გათვალისწინების გარეშე, გარანტირებული სიმძლავრის საფასურის მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს 9,008,191 ლარის ოდენობით, ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 12,100,859 ლარისა, ხოლო ცვლადი საოპერაციო დანახარჯები კორექტირებების გათვალისწინებით, ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის მიზნებისათვის – 23,241,835 ლარის ოდენობით.

ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები (გარანტირებული სიმძლავრე)

№	დასახელება	სატარიფო განაცხადით (2017 წელი)	აპარატის პროექტით	სხვაობა
1	ელექტროენერჯის შესყიდვის ხარჯი	-	634,049	634,049
2	სახელფასო ფონდი	5,568,861	5,030,186	(538,675)
3	ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	58,926	58,926	-
4	საწარმოო ძ.ს - ის მიმდინარე რემონტის ხარჯი	1,179,038	1,153,682	(25,356)
5	წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი	120,000	120,000	-
6	ელ. კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	678,998	12,423	(666,575)
7	კომუნალური ხარჯი (ელექტროენერჯის გარდა)	114,315	65,173	(49,142)

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

8	საკომუნიკაციო ხარჯი	82,738	20,706	(62,032)
9	საკანცელარიო ხარჯი	11,063	3,062	(8,000)
10	სამივლინებო ხარჯი	11,403	-	(11,403)
11	საკონსულტაციო ხარჯი	1,553,235	147,555	(1,405,680)
12	წარმომადგენლობითი ხარჯი	12,543	2,000	(10,543)
13	დაცვის ხარჯი	265,130	239,492	(25,638)
14	იჯარის ხარჯი	131,225	219,844	88,620
15	დაზღვევის ხარჯი	483,443	314,214	(169,229)
16	ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	273,600	273,600	-
17	კომისიის რეგულირების საფასური	83,274	25,090	(58,184)
18	ქონების გადასახადი	110,595	120,320	9,725
19	მიწაზე ქონების გადასახადი	390,935	109,275	(281,660)
20	სხვა საოპერაციო ხარჯები	971,540	458,595	(512,944)
სულ		12,100,859	9,008,191	(3,092,668)

დანახარჯების გადანაწილებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, ხარჯები, რომლებიც არ არის პირდაპირი წესით მიკუთვნებული თბოენერჯის საქმიანობასთან, უნდა გადანაწილდეს აქტივების ალოკაციით, რომელიც დათვლილია თბოელექტროსადგურის აქტივების წილით საწარმოს მთლიან აქტივებში და შეადგენს 21.10%-ს (იხ. კაპიტალური დანახარჯების ნაწილი).

ცვლილებების გამომწვევი მიზეზები მდგომარეობს შემდეგში:

➤ ელექტროენერჯის შესყიდვის ღირებულება მოიცავს ელექტროენერჯის შესყიდვისა და გატარების ხარჯებს. საწარმოს აღნიშნული ხარჯი ასახული ჰქონდა ელექტროენერჯის კომუნალურ და სამეურნეო ხარჯში. დეპარტამენტის მიერ მოხდა აღნიშნული ხარჯის გადაჯგუფება ხარჯის შესაბამის მუხლებში. დეპარტამენტის პროექტით ელექტროენერჯის შესყიდვის ხარჯად განსაზღვრულია სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისაგან“ (შემდგომში - ესკო) შესყიდული ელექტროენერჯის ღირებულება სადგურის საკუთარი მოხმარებისათვის – **332,109** ლარის ოდენობით

და ასევე, საწარმოს მიერ მის საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურებიდან შესყიდული ელექტროენერჯის ღირებულება - **234,654** ლარის ოდენობით, გატარების ხარჯად კი, ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატებისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, შპს „ენერგოტრანსის“ და სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოსგან“ შეძენილი ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების ღირებულება, ჯამში – **67,286** ლარის ოდენობით.

➤ **სახელფასო ფონდის** გაანგარიშება განხორციელდა ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, უკანასკნელი სამი წლის სატარიფო რეგულირების მიხედვით საწარმოსთვის საჭირო საშტატო განრიგის გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს 233 ადამიანს, ნაცვლად სატარიფო განაცხადში დაფიქსირებული 289 საშტატო ერთეულისა და საშუალო ხელფასი განისაზღვრა თვეში 1,790 ლარის ოდენობით, თბოგენერაციის სეგმენტში ბოლო სატარიფო რეგულირებებისას კომისიის მიერ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოყენებული ერთგვაროვანი სტანდარტის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, წლიური სახელფასო ხარჯი უნდა განისაზღვროს 5,004,840 ლარის ოდენობით.

ამასთან, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საწარმოს საოპერაციო ხარჯების ხელფასების მუხლში გათვალისწინებული იქნეს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამოწვეული ხარჯები (2019 წლის 1 იანვრიდან), ვინაიდან დამსაქმებელი მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტის მიერ საწარმოსგან გამოთხოვილი იქნა 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე თანამშრომელთა შესახებ

ინფორმაცია, რომელმაც შეადგინა 59 კაცი, ხოლო მათთვის გადასახდელი საპენსიო შენატანის წლიური ხარჯი (2%) განისაზღვრა 25,346 ლარის ოდენობით.

შედეგად სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებული სახელფასო ფონდი განისაზღვრა **5,030,186** ლარის ოდენობით.

➤ **საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი** - კომპანიის მიერ სატარიფო განაცხადით აღნიშნული ხარჯი წარმოდგენილი იქნა 1,179,038 ლარის ოდენობით, რომელიც შესწავლილი და გაანალიზებული იქნა როგორ დოკუმენტური, ასევე ტექნიკური მიზანშეწონილობის კუთხით. კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, შპს „ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება 25,356 ლარის (დღგ-ის გარეშე) მოცულობის სამუშაოებზე, რომელიც ითვალისწინებდა ქიმიურ საამქროში ქიმიურად სუფთა წყლის ძველი კოჭური მილების დემონტაჟს და იმავე მონაკვეთზე უჟანგავი მილის მონტაჟს, მიჩნეული იქნა აქტივის განახლებად და რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახვა კაპიტალიზებად დანახარჯად. გამომდინარე აქედან, აღნიშნული თანხით შემცირდა მიზანშეწონილი დანახარჯის ოდენობა და განისაზღვრა **1,153,682** ლარის ოდენობით.

➤ **ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯში** ასახვა ჰპოვა მხოლოდ თბილისის ოფისის ელექტროენერჯის კომუნალურმა ხარჯმა შესაბამისი ალოკაციით 21.10% - 12,423 ლარი, ხოლო საწარმოს მიერ ხარჯის ამ მუხლში ასახული ელექტროენერჯის შესყიდვა-გატარების ხარჯი - 634,049 ლარი, შინაარსიდან გამომდინარე გადაჯგუფდა საოპერაციო დანახარჯების სხვადასხვა მუხლებში (იხ. ელექტროენერჯის შესყიდვის და გატარების ხარჯი). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს მიერ მოთხოვნილი 678,998 ლარის ნაცვლად, ტარიფში უნდა აისახოს **12,423** ლარი.

➤ საწარმოს მიერ წარმოდგენილი მონაცემებით **კომუნალური ხარჯი** (ელექტროენერჯის გარდა) მოიცავდა გარდაბანში არსებული თბოელექტროსადგურის კომუნალურ ხარჯებს და ადმინისტრაციის ხარჯებს

შესაბამისი გადანაწილებით. დეპარტამენტმა შეისწავლა აღნიშნული დანახარჯები და მიზანშეწონილად მიიჩნევს საერთო ადმინისტრაციის ხარჯები - დასუფთავების, თბილისში ოფისზე გაწეული გათბობისა და წყალმომარაგების ხარჯები გადანაწილდეს დეპარტამენტის მიერ გაანგარიშებული ალოკაციის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით კომუნალური ხარჯი უნდა განისაზღვროს **65,173** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადში ასახული 114,315 ლარისა.

➤ საწარმოს წარმოდგენილ სატარიფო განაცხადში ადმინისტრაციის საქმიანობის **საკომუნიკაციო ხარჯი** მიკუთვნებული ჰქონდა თბოგენერაციის საქმიანობისთვის 76%-ის ოდენობით. დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საოპერაციო დანახარჯებში შესაბამისი ალოკაციით აისახოს დოკუმენტურად დადასტურებული და გონივრული ხარჯი - **20,706** ლარი, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადში ასახული 82,738 ლარისა.

➤ საწარმოს წარმოდგენილ სატარიფო განაცხადში ადმინისტრაციის საქმიანობის **საკანცელარიო ხარჯი** მიკუთვნებული ჰქონდა თბოგენერაციის საქმიანობისთვის ასევე 76%-ის ოდენობით. დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საოპერაციო დანახარჯებში შესაბამისი ალოკაციით აისახოს დოკუმენტურად დადასტურებული და გონივრული ხარჯი - **3,062** ლარი, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადში ასახული 11,063 ლარისა.

➤ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი **მივლინების ხარჯი** შეადგენდა 11,403 ლარს. ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ საწარმოსგან მოთხოვნილი იქნა მივლინებების დეტალური რეესტრის წარმოდგენა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მივლინების ადგილის, თარიღის, მიზნობრიობის და გაწეული ხარჯის შესახებ ინფორმაციის მიღება. თუმცა, აღნიშნული რეესტრი საწარმომ ვერ წარმოადგინა. შესაბამისად წარმოდგენილი მივლინების ხარჯი სრულად იქნა ამოღებული მიმდინარე სატარიფო გაანგარიშებიდან დეპარტამენტის მიერ.

➤ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილი საკონსულტაციო ხარჯი მოიცავდა შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მიერ გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას და შპს „ქი პოინტს კონსალტინგის“ მიერ გაწეულ იურიდიულ მომსახურებას 1,503,603 ლარის ოდენობით. ვინაიდან შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ წარმოადგენს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ურთიერთდამოკიდებულ საწარმოს, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს გათვალისწინებული იქნეს აღნიშნული საკონსულტაციო ხარჯი გონივრული ოდენობით - 118,140 ლარი. აღნიშნული თანხის გაანგარიშება ეფუძნება შემდეგ მონაცემებს: შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ტარიფებისა და საბაზრო რეგულაციების განყოფილების თანამშრომლები სრულად (7 პერსონა) და ასევე, საგადასახადო და იურიდიული საკითხების 2-2 კონსულტანტი იქნა მიზანშეწონილ თანამშრომელთა ოდენობად მიჩნეული, რომლებიც უნდა მოემსახურონ, როგორც შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას“, ასევე შპს „მტკვარი ენერჯის“ და გაუწიონ შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურება. ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი სახელფასო ანაზღაურებით 1,790 ლარით (თბოელექტროსადგურებში დასაქმებულ თანამშრომელთათვის განსაზღვრული საშუალო ხელფასი), გაანგარიშდა 11 თანამშრომლის წლიური სახელფასო ხარჯი - 236,280 (11 თანამშრომელი * 1,790 ლარი * 12 თვე) ლარი ორივე საწარმოსთვის და შესაბამისად შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ საკონსულტაციო ხარჯმა უნდა შეადგინოს 118,140 (236,280 / 2) ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ ამ თანხაში ასევე გათვალისწინებულია იურიდიული კონსულტაციის გამწევი თანამშრომლებიც, დეპარტამენტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია შპს „ქი პოინტს კონსალტინგის“ მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების დანახარჯებში ასახვა. შესაბამისად, ზემოხსენებული ორი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების მიზანშეწონილი დანახარჯი, რომელიც

გათვალისწინებული იქნება წინამდებარე სატარიფო გაანგარიშებაში, შეადგენს **118,140** ლარს.

საკონსულტაციო ხარჯში არ იქნა გათვალისწინებული EN CONSULTING /უკრაინა/ და Intertek Moody International B.V. /ჰოლანდია/-ს მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები 47,089 ლარის ოდენობით, ვინაიდან ეს მომსახურებები არ იყო დაკავშირებული თბოენერჯის საქმიანობასთან. რაც შეეხება ამავე ხარჯში ასახულ სისპ „შემოსავლების სამსახურის“ და შპს „ჯობს.გეს“ მიერ გაწეულ მომსახურებებს, დოკუმენტურად დადასტურების შედეგად ამ ხარჯმა განიცადა კორექტირება და ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2,544 ლარისა, შესაბამისი ალოკაციით მიკუთვნებული გონივრული დანახარჯი გათვალისწინებული იქნა **555** ლარის ოდენობით.

ასევე, საწარმოს სხვა საოპერაციო დანახარჯებში ჰქონდა ასახული აუდიტის მომსახურების თანხა - 97,731 ლარის ოდენობით. დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული აუდიტის ხარჯიდან გადმოტანილ იქნეს საკონსულტაციო ხარჯებში მხოლოდ თბოელექტროსადგურთან დაკავშირებული და შესაბამისი ალოკაციით გადანაწილებელი საერთო დანახარჯები - **28,860** ლარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით სულ საკონსულტაციო ხარჯი უნდა განისაზღვროს **147,555** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 1,553,235 ლარისა.

➤ საწარმოს წარმომადგენლობითი ხარჯი შეადგენდა 12,543 ლარს. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შესაბამისად აღნიშნული ფაქტიური დანახარჯები არ ექვემდებარება ტარიფში ასახვას და დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ვინაიდან საწარმოს მოუხდება წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა, იგი გათვალისწინებულ იქნეს საპროგნოზო ოდენობით **2,000** ლარი.

➤ საწარმოს 2017 წელს მიღებული დაცვითი მომსახურების ღირებულება მოიცავს გარდაბნის თბოელექტროსადგურისა და პირადი დაცვის

მომსახურებებს. დეპარტამენტი გონივრულად მიიჩნევს დაცვის ხარჯში გათვალისწინებული იქნეს მხოლოდ ობიექტის დაცვის მომსახურება და არა პირადი დაცვის მომსახურების ღირებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით სულ დაცვის მომსახურება განისაზღვრა **239,492** ლარის ოდენობით, ნაცვლად წარმოდგენილი 265,130 ლარისა.

➤ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი **იჯარის ხარჯი** მოიცავს სამარშრუტო ტაქსის ტიპის ავტომობილების იჯარას თბოელექტროსადგურის და ადმინისტრაციის თანამშრომელთა გადასაყვანად სამუშაო ობიექტზე - 131,225 ლარი. აღნიშნული დანახარჯი შესაბამისი ალოკაციით უნდა განისაზღვროს 102,417 ლარის ოდენობით. ამასთან, ვინაიდან ადმინისტრაციის შენობა (მდებარე ქალაქ თბილისში გაზაფხულის ქუჩაზე №18) არ მოხვდა რეგულირებადი აქტივების ბაზაში და რეალურად საწარმოს მენეჯმენტი ტერიტორიულად განთავსებულია თბილისში და მათ სჭირდებათ ფართი ოფისისთვის, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს გათვალისწინებულ იქნეს გონივრული ოდენობით იჯარის ხარჯი ოფისისთვის, რომელიც გაანგარიშდა ადმინისტრაციის 17 თანამშრომლისთვის (კომპანიის მიერ წარმოდგენილი საშტატო ერთეულის გაანალიზებით და შესაბამისი ალოკაციით განისაზღვრა თანამშრომელთა რაოდენობა) და წლიურმა ხარჯმა შეადგინა 117,427 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სულ იჯარის ხარჯი უნდა განისაზღვროს **219,844** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 131,225 ლარისა.

➤ რაც შეეხება **დაზღვევის ხარჯს**, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი თანხები: 1) ჯანმრთელობის დაზღვევა გაანგარიშდა დეპარტამენტის მიერ განსაზღვრულ თანამშრომელთა რაოდენობასა (233 ადამიანი) და ადმინისტრაციულ პერსონალს (68 ადამიანი) შორის სხვაობით, მათი სადაზღვევო პაკეტზე ნამრავლით (18.75 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), სულ - 37,125 ლარი; 2) მანქანა-დანადგარებისა და ქონების დაზღვევა - 277,089 ლარი. აღნიშნულის

გათვალისწინებით 2018 წლის სატარიფო წლისთვის დაზღვევის თანხა უნდა განისაზღვროს **314,214** ლარის ოდენობით, ნაცვლად 483,443 ლარისა.

➤ **ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური** განისაზღვრა ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ საფუძველზე გარანტირებული სიმძლავრის საფასურში, კომისიის მიერ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (შემდგომში - ესკო) მოსახურებაზე დამტკიცებული ტარიფის მიხედვით (0.019 თეთრი/კვტსთ). მასასადამე, აღნიშნული დანახარჯი საპროგნოზოდ გათვალისწინებული იქნა ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების ნაწილში და შეადგინა **273,600** ლარი.

რეგულირების საფასურის გამომდინარე იქიდან, რომ რეგულირების საფასური წარმოადგენს არაკონტროლირებად საოპერაციო ხარჯს და ამ ხარჯთან დაკავშირებული მომსახურების საფასური გაიანგარიშება „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილებით საფუძველზე და იანგარიშება რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის, მომსახურების მიწოდების მთლიანი ღირებულების 0.002 კოეფიციენტზე ნამრავლით, დეპარტამენტის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნაცვლად სატესტო წლის მონაცემისა, სატარიფო გაანგარიშების პროექტში კომისიის რეგულირების საფასურის ხარჯი გათვალისწინებული იყოს საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. შედეგად, კომისიის რეგულირების საფასური ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 83,274 ლარისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს **25,090** ლარის ოდენობით.

➤ დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საოპერაციო დანახარჯებში ქონების გადასახადის ხარჯად აისახოს 2017 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციით მხოლოდ გარდაბნის აქტივებზე გადახდილი

ქონების გადასახადი 120,320 ლარი, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 110,595 ლარისა.

➤ მიწაზე ქონების გადასახადში გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ჩართული მიწების შესაბამისი ქონების გადასახადი 109,275 ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 390,935 ლარისა.

➤ სხვა საოპერაციო ხარჯები საწარმოს მიერ წარმოდგენილი დეტალური ჩაშლით მოიცავდა აუდიტის მომსახურების, ტექნიკურ, ფოსტის, დეზინფექციის, სატრანსპორტო, თანამშრომელთა კვების მომსახურებებს, ასევე საწვავისა და სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების, მარკეტინგისა და თანამშრომელთა ტრენინგის საფასურს და სხვა ხარჯებს, სულ ღირებულებით 971,540 ლარი. აღნიშნული დანახარჯების ნაწილი პირდაპირ არის დაკავშირებული თბოგენერაციის საქმიანობასთან, ხოლო ნაწილი გამოიყენება საწარმოს საერთო სხვადასხვა რეგულირებად და არარეგულირებად საქმიანობაში. დეპარტამენტმა გააანალიზა და შეისწავლა აღნიშნული დანახარჯი და მიზანშეწონილად მიიჩნევს საოპერაციო დანახარჯებში არ აისახოს შემდეგი ხარჯები: 1) აუდიტის მომსახურების თანხა - ვინაიდან ის გადატანილია სატარიფო განაცხადის შესაბამის საკონსულტაციო მუხლის ნაწილში; 2) ადმინისტრაციის პერსონალის კვების საფასური; 3) თანამშრომელთათვის საჩუქრების შექმნაზე გაწეული ხარჯები; 4) იმ თანამშრომლებზე გაწეული ტრენინგის ხარჯი ვინც არ არის დაკავშირებული თბოს საქმიანობასთან; 5) მარკეტინგის მომსახურების საფასური; 6) ჩამოსული სტუმრების ტრანსპორტით მომსახურება; 7) დამატებითი საკონსულტაციო მომსახურებების ხარჯი, რომელიც შინაარსობრივად იფარება შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურებით; 8) ქ. თბილისი, გაზაფხულის ქუჩაზე ადმინისტრაციულ შენობაში დამონტაჟებული მოწყობილობების და ეზოს კეთილმოწყობაზე გაწეული დანახარჯები და ის ხარჯები, რომლებიც ცალსახად არ არის დაკავშირებული თბოელექტროსადგურის საქმიანობასთან. რაც შეეხება სხვა დანარჩენ ხარჯებს,

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

სხვაობა წარმოშვა დოკუმენტურად დაუდასტურებლობამ და დეპარტამენტის მიერ გამოყენებულმა ალოკაციის ნორმამ. სულ სხვა ხარჯები უნდა განისაზღვროს **458,595** ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ხარჯს ძირითად და დამხმარე მასალებზე და წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯს, ისინი ასახულია, როგორც მიზანშეწონილი და დოკუმენტურად დადასტურებული საოპერაციო დანახარჯები.

სულ ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები განისაზღვრა **9,008,191** ლარის ოდენობით. №3 და №4 ბლოკებს შორის ალოკაცია მოხდა დადგმული სიმძლავრეების მიხედვით გაანგარიშებული ხვედრითი მაჩვენებლების შესაბამისად. თბილსრესის მე-3 ენერგობლოკის საპროექტო სიმძლავრე წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით შეადგენს 130 მვტ-ს, ხოლო მე-4 ენერგობლოკის - 142 მვტ-ს. აქედან, მე-3 ენერგობლოკის შესაბამისი ხვედრითი მაჩვენებელია - 47.79%, ხოლო მე-4 ენერგობლოკის - 52.21%. აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში და შესაბამისად №3 ენერგობლოკისთვის საოპერაციო ხარჯები განისაზღვრა 4,311,433 ლარის ოდენობით, ხოლო №4 ენერგობლოკისთვის - 4,696,758 ლარის ოდენობით.

№	დასახელება	აპარატის პროექტით	აპარატის პროექტით №3 ბლოკი (47.79%)	აპარატის პროექტით №4 ბლოკი (52.21%)
1	ელექტროენერჯის შესყიდვის ხარჯი	634,049	303,038	331,011
2	სახელფასო ფონდი	5,030,186	2,404,133	2,626,053
3	ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	58,926	28,163	30,763
4	საწარმოო ძ.ს - ის მიმდინარე რემონტის ხარჯი	1,153,682	551,392	602,290
5	წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი	120,000	57,353	62,647
6	ელ. კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	12,423	5,937	6,485
7	კომუნალური ხარჯი (ელექტროენერჯის გარდა)	65,173	31,149	34,024
8	საკომუნიკაციო ხარჯი	20,706	9,896	10,810
9	საკანცელარიო ხარჯი	3,062	1,464	1,599
10	სამივლინებო ხარჯი	-	-	-
11	საკონსულტაციო ხარჯი	147,555	70,523	77,032

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

12	წარმომადგენლობითი ხარჯი	2,000	956	1,044
13	დაცვის ხარჯი	239,492	114,463	125,029
14	იჯარის ხარჯი	219,844	105,073	114,772
15	დაზღვევის ხარჯი	314,214	150,176	164,038
16	ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	273,600	136,800	136,800
17	კომისიის რეგულირების საფასური	25,090	12,004	13,087
18	ქონების გადასახადი	120,320	57,506	62,814
19	მიწაზე ქონების გადასახადი	109,275	52,227	57,048
20	სხვა საოპერაციო ხარჯები	458,595	219,182	239,414
სულ საოპერაციო ხარჯი		9,008,191	4,311,433	4,696,758

დასაკორექტირებელი შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალს შეადგენს შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ გაწეული მომსახურების ღირებულების 100% (3,187 ლარი), სხვადასხვა საშუალებების რეალიზაციის ღირებულება (5,932 ლარი) და რეალიზებული ძირითადი საშუალების ნამეტი შემოსავალი (4,834 ლარი). გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გაანგარიშებისას რეგულირებადი დანახარჯების ბაზას სულ უნდა გამოაკლდეს 13,954 ლარი.

საოპერაციო დანახარჯების კორექტირება

სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულია საოპერაციო დანახარჯების კორექტირება - თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული საოპერაციო დანახარჯები განსხვავდება შესაბამისი ტარიფის დადგენისას გათვალისწინებული საოპერაციო დანახარჯების ოდენობისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას, დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით.

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა 2017 წლის ტარიფში ასახული საპროგნოზო საოპერაციო დანახარჯების კორექტირება 2017 წლის ფაქტობრივი დანახარჯებიდან გამომდინარე. წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული კორექტირება მუხლების მიხედვით.

№	დასახელება	2017 წლის ტარიფში ასახული	2017 წლის ფაქტიური ხარჯი	სხვაობა
1	ელექტროენერჯის შესყიდვის ხარჯი	511,593	634,049	122,456
2	სახელფასო ფონდი	5,004,840	5,004,840	-
3	ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	1,145,932	58,926	(1,087,006)
4	საწარმოო ძ.ს - ის მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	1,153,682	1,153,682
5	წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი	120,000	120,000	-
6	ელ. კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	10,954	12,423	1,469
7	კომუნალური ხარჯი (ელექტროენერჯის გარდა)	61,448	65,173	3,725
8	საკომუნიკაციო ხარჯი	38,666	20,706	(17,961)
9	საკანცელარიო ხარჯი	10,864	3,062	(7,802)
10	სამივლინებო ხარჯი	14,949	-	(14,949)
11	საკონსულტაციო ხარჯი	304,015	147,555	(156,460)
12	წარმომადგენლობითი ხარჯი	10,000	2,000	(8,000)
13	დაცვის ხარჯი	239,492	239,492	-
14	იჯარის ხარჯი	284,102	219,844	(64,258)
15	დაზღვევის ხარჯი	309,661	314,214	4,553
16	ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	273,600	273,600	-
17	კომისიის რეგულირების საფასური	21,512	21,512	-
18	ქონების გადასახადი	153,050	120,320	(32,730)
19	მიწაზე ქონების გადასახადი	109,942	109,275	(667)
20	სხვა საოპერაციო ხარჯები	561,295	458,595	(102,699)
სულ საოპერაციო ხარჯი		9,185,915	8,979,266	(206,648)

სულ საკორექტირო საოპერაციო დანახარჯებმა შეადგინა 206,648 ლარი, დროში ფულის ღირებულების (ორწლიანი ჩამორჩენით) გათვალისწინებით კი -

264,966 ლარი. მაშასადამე, 2019 წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა უნდა შემცირდეს - **264,966** ლარით.

ცვლადი საოპერაციო დანახარჯები

(ელექტროენერჯის წარმოება)

სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად განისაზღვრა თბოელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის მოხმარებული ბუნებრივი გაზის საშუალო ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი (ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი ხარჯი/ელექტროენერჯის ფაქტობრივი გაცემა) 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდზე. აღნიშნულმა კოეფიციენტმა შეადგინა **0.31229** მ³/კვტსთ და 2019 სატარიფო წლისათვის განისაზღვრა ელექტროენერჯის სალტეზე გასაცემი ოდენობა **182.124** მლნ. კვტსთ-ის ოდენობით, რომელიც აღებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №1-1/547 ბრძანებით დამტკიცებული „2019 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსიდან“. შესაბამისად, 2019 სატარიფო წლისთვის დაგეგმილმა ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის ოდენობამ შეადგინა **56,876.562** ათასი კუბური მეტრი. აღნიშნული მონაცემების განსაზღვრისას ინფორმაციები მოწოდებული იქნა, როგორც საწარმოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში, ასევე, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორიდან (ელექტროენერჯის ფაქტობრივი გამომუშავება და სალტეზე გაცემა თვეების მიხედვით) და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან (ელექტროენერჯის წარმოებისთვის საჭირო ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი ხარჯი თვეების მიხედვით).

სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით, ბუნებრივი გაზის ერთეულის შესყიდვის ფასია **143** აშშ დოლარი/1000

მ³ დღე-ის გარეშე. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანგარიშსწორების პირობები ეროვნულ ვალუტაში, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველი თვის ბოლო საბანკო დღისთვის ლარის აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. 2019 წლის სატარიფო მიზნებისათვის ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლით საპროგნოზო კურსად აღებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 2018 წლის 27 დეკემბერისთვის (ტარიფის დადგენის დღე) მოქმედი ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლითი კურსი, რომელმაც შეადგინა **2.6639**. გაზის ტრანსპორტირების ტარიფი დადგენილია კომისიის მიერ – **18.70** ლარი/1000 მ³ დღე-ის გარეშე, ასევე გასათვალისწინებელია საწარმოს მიერ შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრებაში არსებული გაზსადენი ქსელის იჯარის ხარჯი, რომელიც შეადგენს **0.037** ლარს/1000 მ³-ზე დღე-ის გარეშე. ზემოხსენებულის გათვალისწინებით ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასი განისაზღვრა **399.675** ($143\$ \cdot 2.6639 + 18.70 + 0.037$) ლარი/1000 მ³-ზე. შესაბამისად, ტარიფში გასათვალისწინებელი სათბობის საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს **22,732,123** ლარს.

რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობის გაანგარიშება ასევე მოხდა კანონშესაბამისად (კომისიის მიერ დამტკიცებული „რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილების მიხედვით – კოეფიციენტი 0.002). ზემოაღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობამ ცვლადი დანახარჯების ნაწილში შეადგინა **46,484** ლარი.

თბოელექტროსადგურში ელექტროენერჯის გამომუშავებისათვის სამეურნეო წყლის ფილტრაცია/გასუფთავებისათვის საჭირო ქიმიური საშუალებების (ქიმიკატების) ხარჯი შეადგენს **31,240** ლარს, ხოლო ტექნიკური წყლის ხარჯი კი შეადგენს **6,237** ლარს.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

სატარიფო მეთოდოლოგიის თანახმად, კორექტირების გაანგარიშება განხორციელდა გასულ რეგულირების პერიოდზე (12.2017-11.2018), საწარმოს საკუთრებაში არსებული თბოელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესყიდვისას უცხოურ ვალუტასთან (აშშ დოლარი) მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის და ასევე, ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის ხვედრითი ხარჯის დაგეგმილი (კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით განსაზღვრული შესაბამისი მაჩვენებელი) და ფაქტობრივი მნიშვნელობების სხვაობიდან მიღებულ შედეგებზე. კორექტირებას დაექვემდებარა 2017 წლის რეგულირების საფასური და სხვა ცვლადი საოპერაციო დანახარჯებიც, რომლებიც აგრეთვე დაკორექტირდა დაგეგმილ და ფაქტობრივად სალტეზე გაცემულ (რეალიზებულ) ელექტროენერჯის რაოდენობებს შორის გამოწვეული სხვაობითაც. შედეგად, ზემოაღნიშნული კორექტირებებისა და ამასთან, დადგენილი ტარიფით განსაზღვრული ყველა კორექტირების (მათ შორის ე.წ. გრძელვადიანი კორექტირების) შესრულების სალდირებულმა ნაშთმა მიმდინარე სატარიფო პერიოდის გაანგარიშებისათვის მთლიანობაში შეადგინა დადებითი სალდო 425,751 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ცვლადი საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება გამოიყურება შემდეგნაირად:

ინფორმაციის დასახელება	პროექტი
სულ ცვლადი საოპერაციო დანახარჯი (ლარი), მათ შორის:	23,241,835
მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა, ათ. მ ³	56,876.562
ბუნებრივი გაზის საშუალო წლიური ხვედრითი ხარჯი ელექტროენერჯის სალტეზე გაცემასთან	0.312(29)
ბუნებრივი გაზის ფასი, აშშ დოლარი/1000 მ ³	143

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ვალუტის გაცვლითი საპროგნოზო კურსი	2.6639
ტრანსპორტირების ტარიფი, ლარი/1000 მ ³	18.70
შპს სოკარ ჯორჯია გაზის საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილის იჯარის საფასური, ლარი/1000 მ ³	0.037
ელექტროენერჯის გამომუშავება, მლნ კვტსთ	190.800
ელექტროენერჯის გაცემა სალტეზე, მლნ კვტსთ	182.124
ბუნებრივი გაზის ღირებულება, ლარი	22,732,123
რეგულირების საფასური, ლარი	46,484
ქიმიური რეაგენტების ხარჯი, ლარი	31,240
ტექნიკური წყლის ხარჯი, ლარი	6,237
კორექტირების კომპონენტი, ლარი	425,751

რეგულირებადი დანახარჯების ბაზა და ტარიფები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ (თბილსრესის №3 და №4 ბლოკები) რეგულირებადი დანახარჯების ბაზამ შეადგინა 12,545,247 ლარი. მათ შორის, 6,001,938 ლარი მე-3 ენერგობლოკზე, ხოლო 6,543,310 ლარი მე-4 ენერგობლოკზე (დანახარჯების გადანაწილება წინა წლების ანალოგიურად განხორციელებულია ენერგობლოკების დადგმული სიმძლავრის მიხედვით, გარდა ბაზრის ოპერატორის საფასურის ხარჯისა, რომელიც იყოფა თანაბრად ორ ბლოკს შორის).

ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ კომისიაში 2018 წლის 22 ნოემბერს წარმოდგენილი წერილის (№6643/17) მიხედვით შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ საკუთრებაში არსებული ორივე, გარდაბნის მე-3 და მე-4 ენერგობლოკებისთვის, 2019 წელს ჩასატარებელი გეგმიური რემონტების საპროგნოზო ხანგრძლივობად

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*

*შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“
გარანტირებული სიმძლავრის საფასური და
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

განსაზღვრულია 65-65 დღე. შესაბამისად, 2019 წელს გარანტირებულ რეზერვში ყოფნის ხანგრძლივობა თითოეული ენერგობლოკისთვის შეადგენს 300 დღეს.

შედეგად, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ საკუთრებაში არსებული გარდაბნის მე-3 და მე-4 ენერგობლოკებისთვის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის და გარანტირებული სიმძლავრის საფასურისათვის მივიღეთ შემდეგი სურათი:

	ჯამი	მე-3 ენერგობლოკი	მე-4 ენერგობლოკი
კაპიტალური დანახარჯები	3,800,794	1,816,556	1,984,238
ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები	9,008,191	4,299,429	4,683,672
კორექტირება ფაქტიურსა და დაგეგმილ მაჩვენებლებს შორის სხვაობით	(245,715)	(117,437)	(128,278)
კორექტირება არასაოპერაციო შემოსავლით	(18,023)	(8,614)	(9,409)
სულ, რეგულირებადი დანახარჯების ბაზა	12,545,247	6,001,938	6,543,310
გარანტირებულ რეზერვში ყოფნის ხანგრძლივობა	300	300	300
გარანტირებული სიმძლავრის საფასური (ლარი/დღე)	<u>41,817</u>	<u>20,006</u>	<u>21,811</u>
ცვლადი საოპერაციო დანახარჯები		23,241,835	
ელექტროენერჯის გაცემა სალტეზე, მლნ კვტსთ		182.124	
ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფი (ზედა ზღვარი) (თეთრი/კვტსთ)		<u>12.762</u>	

ტარიფები გაიანგარიშება დღგ-ის გარეშე.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი,

27 დეკემბერი, 2018 წელი

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი, სემეკი
27 დეკემბერი, 2018 წელი*